დამტკიცებულია	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N01-2020 დადგენილება	09.01.2020
მოდიფიცირება	აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 თებერვლის #03	

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი განსაზღვრავს შპს - თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. შესასრულებლად სავალდებულოა როგორც უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, რომლებიც ჩართულები არიან უნივერსიტეტის საქმიანობაში.

მუხლი 2. სწავლების ენა

უნივერსიტეტში სწავლება ხორციელდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე.

მუხლი 3. სწავლების საფეხურები

1. უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შემდეგ საფეხურებზე:

ა) ბაკალავრიატი;
ბ) ერთსაფეხურიანი;
გ) მაგისტრატურა.

მუხლი 4. სასწავლო პროცესის განმახორციელებელი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულები

1. ფაკულტეტი უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია, რომლის სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით.

2. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭო შედგება 7 წევრისგან. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი. ფაკულტეტის საბჭოს 4 წევრი აირჩევა აკადემიური პერსონალიდან და 2 წევრი ფაკულტეტის სტუდენტთა შემადგენლობიდან. ფაკულტეტის საბჭოს 4 წევრი აირჩევა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრის მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტთა არჩევა ხდება ფაკულტეტის სტუდენტების მიერ, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით. არჩევნების ორგანიზებას უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობა.

3. ფაკულტეტის საბჭო:

ა) უფლებამოსილია განსაზღვროს ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ფაკულტეტზე;

ბ)ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის დეკანის ვიზირების საფუძველზე იხილავს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) განსაზღვრავს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის საფინანსო–საბიუჯეტო მოთხოვნას;

დ) ამტკიცებს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას;

ე)დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის დებულებას (საფაკულტეტო სტრუქტურით) და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ)უფლებამოსილია, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 2/3-ის მოთხოვნით, მიმართოს რექტორს დეკანისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე;

ზ) ახორციელებს ამ დებულებითა და ფაკულტეტის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 5. თჰუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს საერთო სამაგისტრო გამოცდასა და შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულ გამოცდას(ებს)/გასაუბრება(ებს).

3. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს თჰუ–ს სტუდენტის სტატუსი მიენიჭება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება დასაშვებია მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. ადმინისტრაციული რეგისტრაცია არის აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობა, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მზაობას სასწავლო პროცესში მიიღოს მონაწილეობა.

2. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

2. ადმინისტრაციული რეგისტრაცია ხორციელდება 10 დღით ადრე სემესტრის დაწყებამდე და გრძელდება 3 კვირის განმავლობაში. ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს სემესტრული სწავლის საფასურის მინიმუმ მეოთხედი ნაწილი, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს არ ექნება აკადემიური რეგისტრაციის გავლის საშუალება და ადმინისტრაცია უფლებას იტოვებს შეუჩეროს მას სტუდენტის სტატუსი. დარჩენილი საფასურის გადახდა უნდა მოხდეს - არაუგვიანეს მე-7 კვირის ბოლომდე სემესტრული საფასურის 1/2 ნაწილი, დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე - გადახდილი უნდა იყოს სემესტრის გადასახადი სრულად.

3. აკადემიური რეგისტრაცია იწყება სემესტრის დაწყებამდე 1 კვირით ადრე და სრულდება სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის შემდეგ. აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტი უნივერსიტეტის ბაზასთან პირადი წვდომის საშუალებით რეგისტრირდება/ირჩევს შეთავაზებულ საგნებს. სტუდენტს რომელსაც არ ექნება გავლილი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, არ ექნება ბაზასთან წვდომის და აკადემიური რეგისტრაციის გავლის საშუალება.

4.კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხული აბიტურიენტები ადმინისტრაციულ რეგისტრაციას გადიან რეგისტრაციის გავლისათვის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში, რა დროსაც დადგენილ საბუთებთან ერთად, უნდა წარმოადგინონ სრული სემესტრული გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

5. აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტი სასწავლო ელექტრონულ ბაზასთან პირადი წვდომის საშუალებით ირჩევს მიმდინარე სემესტრში პროგრამით გათვალისწინებულ ახალ სასწავლო კურსებს ან განვლილ სემესტრებში ჩაუბარებელ საგნებს.

6. ყველა სტუდენტისთვის სასწავლო ელექტრონულ ბაზაში ხელმისაწვდომია მისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და სასწავლო კურსების სემესტრულად განაწილების სქემა. სტუდენტი სასწავლო გეგმის შესაბამისად რეგისტრირდება გასავლელ საგნებზე.

7. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თჰუ-ის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე დარეგისტრირებას, მშობლიურ უნივერსიტეტში ან უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი წესით. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას

აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების თჰუ-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით (მემორანდუმით) განსაზღვრული პირობებით.

მუხლი 7. სტუდენტის დატვირთვა

1. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში – საათებში.

2. საკრედიტო სისტემის შესაბამისად სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვა) 25 ასტრონომიულ საათს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 ასტრონომიულ საათს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

3. სტუდენტის დატვირთვა მოიცავს:
ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას;
ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;
გ) პროფესიულ პრაქტიკას;
დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
ე) კვლევითი კომპონენტების შესრულებას;
ვ) საბაკალავრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას;
ზ) სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას.
4. მობილობით გადმოსულ ან სტატუსაღდგენილ სტუდენტს (გარდა ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებული სტუდენტებისა), რომელსაც გავლილი და ჩაბარებული საგნებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა არ აძლევს საშუალებას სემესტრის განმავლობაში აიღოს 15 კრედიტზე მეტის შესატყვისი საგნები, სწავლის საფასურს გადაიხდის აღებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.
5. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად და მოიცავს როგორც სტუდენტის მიერ ორგანიზებულ გარემოში გატარებული თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას (საკონტაქტო საათები) ასევე სტუდენტის მიერ ინდივიდუალურ მუშაობას (დამოუკიდებელი მუშაობის საათები).
6. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.

7. სტუდენტის წლიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

8. აკადემიური წელი გათვლილია 40 სასწავლო კვირაზე, რომელიც მოიცავს სალექციო პერიოდს, დასკვნით და დამატებით გამოცდებს.

9. სალექციო პერიოდი მოიცავს 16 კვირას, რომელშიც გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კონპონენტებით განსაზღვრული საუდიტორიო

აქტივობები (ლექცია-სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, შუალედური გამოცდა, კონსულტაციები, პრეზენტაციები და ა.შ.).
10. აკადემიური წელი არის ორ სემესტრიანი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 სასწავლო კვირას, რომელთაგან 16 კვირა განკუთვნილია სააუდიტორიო მეცადინეობებისათვის და შუალედური გამოცდისათვის, 2 კვირა დასკვნითი გამოცდებისთვის და 2 კვირა დამატებითი გამოცდებისათვის.
11. აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორი სწავლებასა და სტუდენტთა შეფასებას ახორციელებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის სილაბუსის საფუძველზე.

მუხლი 8. ცოდნის შეფასების სისტემის ზოგადი აღწერა

1. სასწავლო პროცესში თითოეული სტუდენტის აკადემიური დატვირთვის ასახვისათვის, რომელიც სტუდენტს ესაჭიროება სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად, უნივერსიტეტი იყენებს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემას (ECTS).

2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 9. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

1. კრედიტის დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” 4.7 მუხლის “ა” ქვეპუნქტით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.
3. სტუდენტის მიერ სწავლების პერიოდში გაწეული შრომის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:
ა) შუალედურ შეფასებებს;
ბ) შუალედურ გამოცდას;
გ) დასკვნით გამოცდას.
4. სტუდენტის შეფასება წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული კომპონენტებით ხორციელდება ყოველ სემესტრულად.
5. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

6. უნივერსიტეტის შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების შეფასების 91 - 100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა; სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმა რთ.

8. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

9. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

10. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

11. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

12. უარყოფითი შეფასების მიღების დროს ((F) ჩაიჭრა), სასწავლო კურსის ხელმეორედ შესწავლა შესაძლებელია მომდევნო სემესტრებში. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსის ხელმეორედ გავლის მსურველ სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე საჭიროა ცალკე ჯგუფის შექმნა, სტუდენტი საგნის შესწავლას ახდენს თვითდაფინანსებით - კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

13. სწავლების პერიოდში სტუდენტის შეფასება წარმოებს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს მთელი სწავლების პერიოდში, მათ შორის შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

14. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებით დაგროვებული აქვს არანაკლებ 11 ქულა.

15. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასების 100 ქულიდან დასკვნითი გამოცდა შეიძლება მოიცავდეს მინიმუმ 30 და მაქსიმუმ 40 ქულას. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ დასკვნითი გამოცდისთვის განკუთვნილი ქულის 50%-ის მიღების შემთხვევაში.

16. დანარჩენი ქულები ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით სილაბუსების შესაბამისად.

17. ფაკულტეტი სტუდენტის მოთხოვნისთანავე ვალდებულია შუალედურ ან/და დასკვნით შეფასებაზე დაუთანხმებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მიმართვიდან 24 საათისა, უზრუნველყოს სტუდენტისათვის მის მიერ შესრულებული და ლექტორის მიერ გასწორებული ნაშრომის გაცნობა;

18. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასება სტუდენტის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს შეფასების თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან 48 საათში სტუდენტის პერსონალური გვერდის გამოყენებით ელექტრონულად ან ფაკულტეტის სასწავლო პროცესის კოორდინატორთან შესაბამისი წერილობითი განცხადების შეტანის გზით;

19. სტუდენტის საჩივარი რეაგირებისათვის გადაეცემა სასწავლო დისციპლინის წამყვან ლექტორს (გამსწორებელს) განსახილველად საჩივრის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში;

20. გამსწორებელი ვალდებულია საჩივრის მიღებიდან მომდევნო 24 საათის განმავლობაში განიხილოს საჩივარი და საგამოცდო ნაშრომის ხელმეორედ შემოწმების გზით მიიღოს შემდეგი ერთ-ერთი გადაწყვეტილება:
ა) საჩივარი არ დააკმაყოფილოს;
ბ) საჩივარი დააკმაყოფილოს სრულად (აამაღლოს ქულა, მოთხოვნილი ოდენობით);
გ) საჩივარი დააკმაყოფილოს ნაწილობრივ (აამაღლოს ქულა ნაწილობრივ);
21. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების შეცვლა ხდება 3-ზე მეტი ქულის ოდენობით, გამსწორებელი ვალდებულია წერილობით დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება, სადაც უნდა განმარტოს 3-ზე მეტი ქულით ცდომილების მიზეზები;
22. გამსწორებელი ლექტორის გადაწყვეტილება საჩივრის თაობაზე სტუდენტს ეცნობება სტუდენტის პერსონალური გვერდის მეშვეობით დაუყოვნებლივ;
23. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ეთანხმება გამსწორებელი ლექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია ამ მუხლის მე-18 პუნქტით განსაზღვრული წესით დაწეროს სააპელაციო საჩივარი;
24. სააპელაციო საჩივარის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში ფაკულტეტის დეკანი ქმნის სააპელაციო საჩივრის განმხილველ კომისიას არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან ერთი - თავად გამსწორებელი ლექტორია, ხოლო სააპელკაციო კომისიის თავმჯდომარე თანამდებობრივად შეიძლება იყოს: ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. სააპელაციო კომისიის მესამე წევრი აუცულებლად უნდა იყოს იმ პროფილის სპეციალისტი, რა პროფილის საგანშიც გასაჩივრებულია შუალედური/დასკვნითი შეფასება;
25. სააპელაციო კომისია ამ მუხლის მე-20-ე პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას ღებულობს ხმათა უმრავლესობით, 48 საათის განმავლობაში; კენჭისყრისას კომისიის არც ერთ წევრს არ აქვს თავის შეკავების უფლება;
26. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ საჩივრდება.

27. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება სტუდენტს ეცნობება სტუდენტის პერსონალური გვერდის მეშვეობით ელექტრონულად, ხოლო თუ იგი ესწრება სააპელაციო კომისიის სხდომას, სააპელაციო კომისიის სხდომაზე, გამოცხადებით. გამოცხადებული გადაწყვეტილება აისახება საგამოცდო უწყისში.
28. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს თუ:
ა) შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგებით დააგროვა 41-დან 51 ქულამდე;
ბ) შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგებით დააგროვა 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი;
გ) საპატიო მიზეზით გააცდინა დასკვნითი გამოცდა, წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება და მოიპოვა დეკანის თანხმობა.

29. სტუდენტის საბოლოო შეფასების ასახვა ხდება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში და ჯგუფის მიხედვით დაბეჭდილ საგნობრივ უწყისში. უწყისს ხელს აწერს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესორი/მოწვეული ლექტორი და ფაკულტეტის დეკანი.

30. უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).

მუხლი 10. ინტენსიური სწავლების კურსი

1. მსურველ სტუდენტთა საკმარისი რაოდენობის (საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე მინიმუმ 3-5 სტუდენტი) შემთხვევაში, უნივერსიტეტი ატარებს სასწავლო კურსის ინტენსიურ კურსს. სტუდენტს ინტენსიური კურსის გავლის უფლება აქვთ შემდეგ შემთხვევაში:
ა) სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება განვლილ სემესტრ(ებ)ში;
ბ) მობილობით გადმოსულ ან სტატუსაღდგენილ სტუდენტს, რომელსაც არ გაუვლია კონკრეტული სასწავლო კურსი და მისი გაუვლელობა მნიშვნელოვნად აფერხებს შემდეგ სემესტრებში სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობას;
გ) სტუდენტს, რომელსაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე აუცილებლად ესაჭიროება კონკრეტული სასწავლო კურსის გავლა.
2. ინტენსიური სწავლების კურსი არის სემესტრის შემადგენელი ნაწილი და ტარდება დასკვნითი გამოცდების შემდეგ 3,5 კვირის განმავლობაში.
3. ინტენსიური კურსის ფარგლებში სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს არაუმეტეს 7 კრედიტის შესატყვისი საგანი/საგნები.
4. ინტენსიური კურსის ფარგლებში ტარდება ყველა ის სასწავლო დატვირთვა, რაც გაწერილია სილაბუსით.
5. ინტენსიური სწავლების კურსის გავლას სტუდენტი ახორციელებს თვითდაფინანსებით.
6. სტუდენტთა ჯგუფის მოთხოვნით, მთელი სემესტრის განმავლობაში შესაძლებელია განხორციელდეს სასწავლო კურსის სწავლება, რომელიც კურიკულუმით არ არის გათვალისწინებული მიმდინარე სემესტრში (პარალელური კურსი).
7. ინტენსიური კურსისა და პარალელური კურსის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი ფაკულტეტებიდან მიღებული მოთხოვნების შესაბამისად.
8. ინტენსიური კურსის ღირებულება გამოითვლება სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის გათვალისწინებით, კრედიტის ღირებულება განისაზღვრება რექტორის

ბრძანებით.

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერება წარმოებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დადგენილი წესებისა და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
2. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია შესაბამისი ფაკულტეტის შუამდგომლობა, შემდეგი საფუძვლებით: ა) აკადემიური შვებულება, რომელიც სტუდენტს ეძლევა, საკუთარი განცხადების საფუძველზე, არაუმეტეს 5 წლისა, უცხოეთში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში – უცხოეთში სწავლის ვადით (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის
ა); უცხოეთში სწავლა დადასტურდებულ უნდა იქნას დოკუმენტურად, სემესტრულად;
ბ) სავალდებულო სამხედრო სამწყობრო სამსახურში გაწვევის გამო (სათანადო დოკუმენტით დადასტურებული);
გ) დოკუმენტურად დადასტურებული ხანგრძლივი ავადმყოფობის შემთხვევაში;
დ) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, სტუდნეტის განცხადების საფუძველზე;
ე) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში, შესაბამისი სემესტრის ვადით;
ვ) სტუდენტსა და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების არსებითი 3 პირობის/პირობების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების (სწავლის საფასურის გადაუხდელობა) დარღვევის შემთხვევაში;
ზ) თუ გაუქმდა ან შეიცვალა თჰუ-ში რეალიზებული ის საგანმანათლებლო პროგრამა,რომლის სტუდენტიც არის პირი, უნივერსიტეტის მხრიდან მისი შემდგომი განათლების უზრუნველყოფით, „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად;
თ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმკვეთის ღონისძიებად შეფარდებულია ისეთი საშუალება, რომელიც შეუძლებელს ხდის მის მონაწილეობას სასწავლო პროცესში, ან თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე, იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში;
ი) ზედიზედ 4 სასწავლო კვირის მანძილზე, სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში;
კ) საგანმანალთელბლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო დისციპლინის მესამედ გავლის, უარყოფითი შეფასების მიღებისა და სასწავლო დისციპლინაში შესაბამისი კრედიტების მოუპოვებლობის შემთხვევაში, თჰუ-ს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და სხვა უსდ-ში მობილობით გადასვლის წინადადების მიცემით, „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად;
ლ) ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე

ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს თუ სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში არ მიიღო შეფასება, აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში;
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი უწყვეტს სტუდენტს სტატუსს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით.
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში სტუდენტსა და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია;

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა წარმოებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
ბ) პირადი განცხადება;
გ) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში;
დ) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ეთიკური და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, რასაც მოჰყვა თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად განსაზღვრული პროცედურები სტუდენტის სტატუსის შესაწყვეტად;
ე) გარდაცვალება ან ასეთად სასამართლოს მიერ ცნობა; ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საფუძვლები.
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები:
ა) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.
ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში.

მუხლი 13. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტატუსშეჩერებული/სტატუსშეწყვეტილი სტუდენტი უფლებამოსილია საკუთარი განცხადების საფუძველზე ან/და სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის დებულებასა და შინაგანაწესთან;
2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება იმ სემესტრიდან, რომლიდანაც

შეუჩერდა/შეუწყდა სტუდენტის სტატუსი;
3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა სემესტრის მიმდინარეობისას პირადი განცხადების საფუძველზე, დაიშვება სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მიმდინარე სემესტრის ფარგლებში აკადემიური შედეგების მიღწევა.

მუხლი 14. სტუდენტის გარე მობილობა;

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტიდან სტუდენტის გადასვლა და ამავე უნივერსიტეტში სტუდენტის გადმოსვლა – მობილობა წარმოებს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებითა და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად სსიპ "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის" დირექტორის სამართლევბრივი აქტებით დადგენილ ვადებში.
2. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაარეგისტრიროს მობილობის ადგილები, საფეხურებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ელექტრონულ პორტალზე.
3. ფაკულტეტის საბჭოების შუამდგომლობის საფუძველზე, თჰუ რექტორის დადებითი რეზოლუციის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ადგილების სსიპ ""განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის" ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციას, ფაკულტეტების და საგანმანათლებლო პროგრამების მითითებით.
4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად პროგრამად.
5. თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განცხადებების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, თჰუ-ში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის“ გადაწყვეტილებით.
6. მობილობის მსურველი, რომელიც თჰუ-ს მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით თჰუ–ს ჩარიცხვისა თაობაზე, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7. თჰუ, როგორც მიმღები უსდ, სსიპ "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას" წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს, მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც ცენტრი ამოწმებს ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან, რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა თჰუ რექტორის ბრძანება

სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ და ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება „ცენტრში“.

8. თჰუ-დან გადასვლისას, სსიპ "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის" დასკვნის საფუძველზე გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი თჰუ-ში ჩაირიცხა და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სხვა უსდ–ში გადასვლელი სტუდენტის პირადი საქმის ქსეროასლი დაიტოვოს. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად ცენტრს წარედგინება 7 ოქტომბრამდე – შემოდგომის ან 7 მარტამდე – გაზაფხულის სემესტრში.

მუხლი 15. შიდა მობილობა

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს სწავლების პერიოდში შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა;
2. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი; შიდამობილობა ცხადდება თჰუ რექტორის ბრძანების საფუძველზე, შიდამობილობის შესახებ სტუდენტთა განცხადებების არსებობის შემთხვევაში;
3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ვადაში; შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი;
4. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.
5. შიდა მობილობის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება ამავე წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული განათლების აღიარების/საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის წესების შესაბამისად.
6. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, სემესტრის დაწყებამდე. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია შიდა მობილობის შედეგები მიაწოდოს სსიპ "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;
7. შიდა მობილობით სტუდენტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტად გადაყვანა ფორმდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი

1. თჰუ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. აღიარებას ექვემდებარება იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება

განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კრედიტების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და თჰუ-ს მიმღები ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა:

ა) მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;

ბ) თუ ერთი და იგივე სასწავლო კურსისთვის თჰუ-ს მიმღები ფაკულტეტის მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია იგივე ან ნაკლები ECTS კრედიტი მცირედი სხვაობით, ვიდრე იმ უსდ-ს პროგრამით, საიდანაც გადმოდის სტუდენტი;

3. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების ფარგლებში;

4. იმ შემთხვევაში, თუ მობილობის მსურველმა პირმა უნივერსიტეტს წარუდგინა ისეთი საგანამანათლებლო პროგრამა, რომელიც არ არის შესრულებული ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისად, უნივერსიტეტის შესაბამისი (მიმღები) ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მობილობის მსურველ პირს მოსთხოვოს ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი წარდგენა ან კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით და მოახდინოს გადაყვანა შემდეგი წესების დაცვით:

ა) თუ საგანმანათლებლო პროგრამა შესრულებულია ასტრონომიულ საათებში, ცალკეული საგნის საერთო რაოდენობა მრავლდება 3-ზე და იყოფა ერთი კრედიტის ექვივალენტზე საათებში, ანუ 25-ზე. მაგ., თუ ასტრონომიულ საათებში საგნის დატვირთვა შეადგენს 60 საათს, ის მრავლდება x 3-ზე და იყოფა 25-ზე: 60x3/25=7,2, დამრგვალებით უდრის 7 კრედიტს;

ბ) თუ სტუდენტის მიერ სხვა უსდ-ში მიღებული შეფასება შეესაბამება 5-ბალიან სისტემას, უნდა მოხდეს მისი გადაყვანა 100 - ქულიან შეფასების სისტემაზე შემდეგი პრინციპით: შეფასება 5 /ფრიადი/ პირობითად ჩაითვალოს – A 91 (ფრიადი) შეფასებად; შეფასება 4 /კარგი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ – C 71 (კარგი) შეფასებად; შეფასება 3 /დამაკმაყოფილებელი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ D 61 (დამაკმაყოფილებელი) შეფასებად;

გ) შეფასება „ჩაეთავალა“–ს გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით:

5 ბალიანი შეფასების სისტემით გამოცდებზე მიღებული შეფასებების 100–ქულიანი შეფასების სისტემაზე მოდიფიცირების შედეგად მიღებული ქულების საერთო ჯამი (შეკრებილი ციფრი), იყოფა ამ სასწავლო დისციპლინების რაოდენობაზე და მიღებული ციფრი ჩაითვლევა „ჩათვლით“ დამთავრებული სასწავლო კურსის შეფასების ეკვივალენტად; მაგ. 81(4)+91(5)+71(4)+71(4)+91(5)+81(4)=486/6=81 (B).

5.უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა.

6. პროგრამების თავსებადობა/შესაბამისობა ფორმდება შედარების აქტითა და დასკვნით თჰუ შესაბამისი (მიმღები) ფაკულტეტის საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, რომელშიც

მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე აღიარებული/თავსებადი კრედიტების რაოდენობა; ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი ექვემდებარება თჰუ ხარიხსის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან შეთანხმებას, რაც მოწმდება მათი ხელმოწერით;

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კვალიფიკაციის მინიჭება

1. საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს პროგრამისთვის დადგენილ კრედიტების რაოდენობას და სრულად შეავსებს კურიკულუმით გათვალისწინებულ ბლოკებს:
ა) საბაკალავრო პროგრამაზე – არანაკლებ 240 კრედიტს;
ბ) სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - არანაკლებ 300 კრედიტს;
გ) სამაგისტრო პროგრამაზე – არანაკლებ 120 კრედიტს;
2. სტუდენტს ბაკალავრის კვალიფიკაცია შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებიდან არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში.
3. მაგისტრანტს მაგისტრის კვალიფიკაცია შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებიდან არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით დაცვის შედეგად.
4. საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სავალდებულო სასწავლო კურსებისა და კრედიტების სათანადო რაოდენობის ათვისების შემდეგ, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი.
5. ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი შემდეგი ხარისხის დიპლომს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად:
ა) წარჩინების დიპლომი - GPA 3.7 და მეტი კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;

ბ) ჩვეულებრივი დიპლომი - ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.7-ზე ნაკლები.

6. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი პროგრამით განსაზღვრულ დროში ვერ დააგროვებს სათანადო კრედიტების რაოდენობას, მას შეუძლია დამატებით გაიაროს არაუმეტეს 4 სემესტრისა.
7. დამატებითი სემესტრის გავლის დროს სტუდენტი სემესტრულ გადასახადს იხდის სრულად.
8. თუ სტუდენტი დამატებით სემესტრებშიც ვერ შეძლებს პროგრამით განსაზღვრული კრედიტების დაგროვებას, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.
9. თუ სტუდენტი უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში ერთსა და იმავე საგანში სამჯერ ვერ მიიღებს დადებით შეფასებას, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

10. სწავლის თითოეული საფეხურის გავლის შემდეგ პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და ეძლევა უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ასევე საქართველოს ფინანასთა სამინისტროსთან შეთანხმებული დადგენილი ფორმის დიპლომი, თავისი დანართით.

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა შეიძლება განხორციელდეს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
2. ახალი წესის მიღებით ძალადაკარგულად იქნება გამოცხადებული წინამდებარე დოკუმენტი.